

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს პრაქტიკაში არსებული ზოგიერთი პროცედურის გამარტივებული წესით წარმართვის საჭიროება და ასევე გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია გადასახადის გადამხდელისთვის დავეების განხილვის საბჭოში საგადასახადო მოთხოვნის/ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასასაჩივრების გაადვილება, კერძოდ გადასახადის გადამხდელს არ მოუწევს დავეების განხილვის საბჭოში საჩივრის საფოსტო გზავნილით ან პირადად ჩაბარება. ელექტრონული ფორმით საჩივრის წარმოდგენა გადასახადის გადამხდელს დაუზოგავს როგორც მატერიალურ სიკეთეს ასევე ადამიანურ რესურსაც. ამასთან, აღნიშნული ცვლილებით შესაძლებელი გახდება დავეების განხილვის საბჭოში მონაწილეობის მიღება ტექნიკური საშუალებებითაც.

კანონპროექტის მიზანია აგრეთვე კომპიუტერული წესით ამობეჭდილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მომხმარებელთა ფართო წრისათვის დანერგვა, დოკუმენტბრუნვის მოძრაობის შემცირების და ადამიანური რესურსების დაზოგვის მიზნით.

გარდა აღნიშნულისა, კანონპროექტით საბაჟო გადასახადის განაკვეთებთან მიმართებაში ხდება ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბება და მსგავსი ტიპის საქონლის მიმართ ხდება ერთიდაიგივე განაკვეთის დადგენა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით, დავეების განმხილველ ორგანოებში საჩივრის ელექტრონული საშუალებით წარდგენისა და დავეების განხილვის საბჭოში ტექნიკური საშუალებით მონაწილეობის დასარეგულირებლად, შესაბამისი ცვლილებები შედის კოდექსის 44-ე მუხლის პირველ ნაწილში (რომელმაც გაითვალისწინა რომ საჩივრის წარდგენა შესაძლებელია ასევე ელექტრონული საშუალებით), 146-ე მუხლის შესაბამის ნაწილებში (სადაც ზუსტდება რომ საბჭოში მონაწილეობა შესაძლებელი იქნება ასევე სხდომაზე დაუსწრებლად, ტექნიკური საშუალების გამოყენებისას).

კოდექსის 228-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში ცვლილების განხორციელება გამოწვეულია გადამხდელთა მიერ საგადასახადო ორგანოში ელექტრონული ფორმით დეკლარირებაზე გადასვლის გამო, რაც არ ითვალისწინებს საგადასახადო ორგანოში მისი მოთხოვნის გარეშე,

დეკლარაციასთან ერთად საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების (მათ შორის კორექტირების) შესაბამისი ეგზემპლარების წარდგენას.

კოდექსის 248-ე მუხლის მე-4 ნაწილში ცვლილების განხორციელება გამოწვეულია კომპიუტერული წესით ამობეჭდილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მომხმარებელთა ფართო წრისათვის დანერგვით, დოკუმენტბრუნვის მოძრაობის შემცირების და ადამიანური რესურსების დაზოგვის მიზნით.

270³ მუხლში ცვლილებების განხორციელება განაპირობა იმ გარემოებებმა, რომ ერთ და იგივე სასაქონლო ჯგუფში შესაძლებელია ერთი სასაქონლო კოდი იბეგრებოდეს 12% განაკვეთით, ხოლო მე-2 – 5% ან 0% განაკვეთით. ამასთან აღნიშნული საქონელი შესაძლებელია ისე გავდეს გარეგნულად ერთმანეთს, რომ მათი გარჩევა შესაძლებელი გახდეს მხოლოდ აღნიშნული საქონლისთვის ექსპერტიზის ჩატარების შემდგომ. შესაბამისად ერთგვაროვანი მიდგომის მიზნით მიზანშეწონილია ერთდამივე სასაქონლო პოზიციაში შემაჯავლი საქონელი დაიბეგროს იდენტური განაკვეთით. ამასთან, აღნიშნული განაკვეთები არ ეწინააღმდეგება საბაჟო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ დადგენილ საბაჟო ტარიფებს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული ხარჯებთან და შესაბამისად დაფინანსების წყაროსთან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღებამ შესაძლებელია ნეიტრალური გავლენა იქონიოს საბიუჯეტო შემოსავლების ნაწილზე, მაგრამ ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სახის საქონელზე (მაგალითად 3307300000, 44032031000, 44072190000 და სხვა) საბაჟო განაკვეთის გაუქმებამ შესაძლოა მცირედით გამოიწვიოს ბიუჯეტის შემოსავლების შემცირება, მაგრამ დაზუსტებული ციფრების მითითება ამ ეტაპზე შეუძლებელია, რადგან იგი დამოკიდებულია ქვეყანაში შემოსატანი აღნიშნული საქონლის რაოდენობაზე, რაც წინასწარ ვერ იქნება განსაზღვრული.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება იქონიებს ზეგავლენას ფინანსურ შედეგებზე იმ პირობათვის, რომელთა მიერ განხორციელებულ პროცედურებზეც (ქმედებებზეც) გავრცელდება ეს კანონი.

ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):
კანონპროექტის მიღებით იცვლება გადასახადების განაკვეთის ოდენობა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:
პარლამენტის წევრი ვახტანგ ბალავაძე

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:
პარლამენტის წევრი ვახტანგ ბალავაძე